საქართველო
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საკრებულოს წევრი
GEORGIA
Rustavi Municipality City Assembly
Member of Assembly

N 16057-02
29/10/2019

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
ქალბატონ სოფიო კარანაძეს

ქალბატონო სოფიო,

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 88-ე მუხლის შესაბამისად წარმოგიდგენთ საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს.

გთხოვთ უზრუნველყოთ ინფორმაციის გამოქვეყნება.

დანართი: 5 ფურცელი.

პატივისცემით,

გოჩა ჯანგიძე

საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

საქართველო, რუსთავი, 3700, კოსტავას 20; ელ.ფოსტა: info@rustavi.ge
Georgia, Rustavi, 3700, Kostava ave. 20. email: info@rustavi.ge

საქართველო

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

GEORGIA

RUSTAVI CITY MUNICIPALITY COUNCIL

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის

მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: **გოჩა ჯანგიძე**

საანგარიშო პერიოდი: 01.11.2018 – 01.11.2019

თანამდებობა:

1. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მე-6 მოწვევის საკრებულოს წევრი;
2. ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
3. ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორების“ წევრი;

კომისი(ებ)ის დასახელება: 1. ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია;

- **საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:**

საკრებულოს სხდომის რაოდენობა: 26 სხდომა (12 რიგითი, 14 რიგგარეშე);

საკრებულოს სხდომაზე დასწრება: 23 სხდომა;

ბიუროს სხდომის რაოდენობა: 26 სხდომა;

ბიუროს სხდომაზე დასწრება: 23 სხდომა;

- **საკრებულოს სხდომებზე მიღებული სამართლებრივი აქტების რაოდენობა:**

74 დადგენილება;

162 განკარგულება;

- **მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების, ფრაქციებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობა:**

- **ა) კომისიები:**

- **ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია:**

ჩატარდა 19 სხდომა; დასწრება-18 სხდომა;

- **ჩართულობა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით მომუშავე სამუშაო ჯგუფებში, კომისიებსა და საბჭოებში:**

1. „მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის“ წევრი;
2. “ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქონების სააუქციონოდ მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი“-ს წევრი;
3. „ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე დაურეგისტრირებელი ფართების მოქალაქეებისათვის საკუთრებაში გადაცემის ხელშეწყობის მიზნით აღრიცხვის და არსებული მდგომარეობის შესწავლის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი“-ს წევრი

- **მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი**

საკითხები:

ა) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;

ბ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დამტკიცება;

გ) სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი 2018 – 2019 წლის ინფრასტრუქტურული პროექტები;

დ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტების დამტკიცება;

ე) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების მიზნით - მუნიციპალიტეტის მერის წარდგინებით მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის წესების, კერძო სამართლის იურიდიული პირების შექმნის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ, არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის, საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის წესების, ასევე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის/გეგმის დამტკიცება და მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

- **საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა:**

საკრებულოს წევრის საქმიანობა წარიმართება საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2014 წლის 4 აგვისტოს N1 დადგენილებით დამტკიცებული „რეგლამენტით“ და სხვა ნორმატიული აქტებით.

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია წარმოადგენს საკრებულოს მუდმივმოქმედ ორგანოს. მისი სამოქმედო გეგმა განსაზღვრულია კომისიის დებულებით და განიხილავს ქალაქ რუსთავის მუნიციაპლიტეტის მერიიდან ინიცირებულ საკითხებს.

კომისია აქტიურადაა ჩართული კომისიის გამგებლობას მიკუთვნებულ სფეროში არსებული პრობლემატიკის განხილვაში და მათი ეფექტურად გადაჭრა მის პრიორიტეტს წარმოადგენს.

კომისიის მიერ მუშა პროცესში აქტიური ჩართულობით, მხარდაჭერილ იქნა ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი 2018 – 2019 წწ. ინფრასტრუქტურული პროექტები.

საანგარიშო პერიოდში, სისტემატიურად იმართებოდა შეხვედრები ამომრჩევლებთან, იკვეთებოდა მათი პრობლემები და მუშავდებოდა გადაჭრის გზები. მოსახლეობის მხრიდან წამოჭრილი მოთხოვნებისა და ინიციატივების გათვალისწინებით, ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე განხორციელდა არაერთი პროექტი.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიამ 2018 წლის 01 ნოემბრიდან 2019 წლის 1 ნოემბრამდე

პერიოდი წარმატებით დაასრულა და უფლებამოსილების ვადაში კვლავ გააგრძელებს აქტიურ მუშაობას.